საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-237

14/03/2019

ქ. თბილისი

კასპის მუნიციპალიტეტში კერამიკული პროდუქციის (აგურის) საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-13 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „კერამიკა ელ ტორენტეს“ კერამიკული პროდუქციის (აგურის) საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N16; (07.02.2019წ.);
2. შპს „კერამიკა ელ ტორენტემ“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N16 (07.02.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კერამიკა ელ ტორენტეს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კერამიკა ელ ტორენტეს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი